საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №18/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 25 თებერვლის №18 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 2 მარტის №65/18-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 19 აპრილის №18/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის საპროცესო ვადა. კერძოდ, მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო 104 დღის შემდეგ, ხოლო გადაწყვეტილება გააგზავნა მისი მიღებიდან 43 დღეში. ამასთან, მხარეებს დღემდე არ ჩაბარებიათ გადაწყვეტილება და შესაბამისად, არ არის შესული კანონიერ ძალაში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 24 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2020 წლის 13 ივლისს მოპასუხე -- -- ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები.

2020 წლის 17 ივლისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა გზავნილის -- -- გადაცემა. 2020 წლის 15 აგვისტოს -- -- ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები.

2020 წლის 1 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. 2020 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შესაგებლის წარუდგენლობის გამო -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. 2020 წლის 22 დეკემბერს მოპასუხე მხარეებს გაეგზავნათ 2020 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2021 წლის 20 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის დროულად განხილვის და სხვა მოსამართლისათვის გადაცემის თხოვნით.

2021 წლის 9 მარტის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დაევალა გზავნილის მხარეებისათვის გადაცემა. 2021 წლის 23 აპრილის განჩინებით მოპასუხეებს შესაგებლის წარუდგენლობის გამო სასამართლოს 18.12.2020 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი ეცნობათ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

-- -- სასამართლოს 2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 685 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 495 (72%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 19 აპრილის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 25 თებერვლის №18 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც „არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

ამდენად, საქმის განხილვის ვადის დარღვევის გადაცდომის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს აღნიშნული საქმის მიმართ რა საპროცესო ვადას ითვალისწინებდა კანონმდებლობა და მოხდა თუ არა ამ ვადის გადაცილება. მოცემულ საქმეზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

არსებული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლეს საქმე განსახილველად გადაეცა 2020 წლის 24 ივნისს, ხოლო მოპასუხე მხარეებს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდათ 2020 წლის 13 ივლისს და 15 აგვისტოს. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის 18 დეკემბერს, შესაბამისად აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 4 თვე, რითიც საქმის განხილვის ხანგრძლივობა არ აჭარბებს კანონით დადგენილ ვადას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლის მიხედვით, მხარეს ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე მხარეებს, -- -- და -- -- 2020 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნათ 2020 წლის 22 დეკემბერს, საპროცესო კოდექსით დადგენილი 5 დღიანი ვადის დაცვით.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

რაც შეეხება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეყვანის საკითხს, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby v. Greece §40).

ასევე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სპეციალურ ვადას, თუ გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში რა ვადაში უნდა მიიღოს სასამართლომ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება, თუმცა, აღნიშნული ვადა არ უნდა იყოს საქმის არსებითი განხილვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ვადა უნდა იყოს გონივრული და ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე მხარეებს გადაწყვეტილება გაეგზავნათ 2020 წლის 22 დეკემბერს, ხოლო 2021 წლის 9 მარტის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დაევალა გზავნილის მხარეებისათვის გადაცემა. აღნიშნულის მიუხედავად გადაწყვეტილება 23 აპრილის განჩინების საფუძველზე საჯარო შეტყობინების გზით ეცნობათ მოპასუხეებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

შესაბამისად, არსებული სტატისტიკის და მოსამართლის დატვირთულების გათვალისწინებით, განსახილველ საქმეზე არ ვლინდება მოსამართლის მიერ საქმეზე საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება

მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

2023 წლის 30 იანვარს გამართულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შვიდმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად საქმის განხილვის ვადასთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო სამმა წევრმა მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართ უნდა დაწყებულიყო დისციპლინური დევნა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საქმის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევასთან მიმართებით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ სამმა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^8 მუხლების საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №18/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი